



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აბულაძე სავლე იოსების ძე

აბულაძე სავლე იოსების ძე [30. III (11. IV). 1890, სოფ. კიცხი, ახლანდ. ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, – 28. II. 1964, თბილისი], პედაგოგი, მწერალი მთარგმნელი და საზ. მოღვაწე.

დაამთავრა გორის სამასწავლებლო სემინარია, 1925 – თსუ-ის სიბრძნისმეტყველების ფაკ-ტი. მუშაობდა სოფ. კიცხის ორკლასიან სასწავლებელში, ხარაგაულის შვიდწლიან შრომის სკოლასა და ზესტაფონის პედ. ტექნიკუმში, ასწავლიდა ქართ. ენასა და ლიტ-რას. თსუ-ში კითხულობდა რუს. ენისა და ლიტ-რის ლექციებს; 1956-იდან იქვე იყო რუს. ენისა და ლიტ-რის კათედრის დოცენტი. გამოქვეყნებული აქვს წერილები ქართ. და რუს. ენების სწავლების მეთოდის საკითხებზე, თარგმანები და სხვ.

ა. სამადაშვილი
